იცნობდეთ, ბალუევი!

სცენარი — ვ. კოჟევნიკოვის, ვ. კომი-
სარჟევსკის
დადგმა — ვ. კომისარჟევსკის
რეჟისორი — ი. მუზიკანტი
მთავარი ოპერატორები: ვ. ლევიტინ,
დ. მესხიევი
მთავარი მხატვარი — ა. რუდიაკოვი
კომპოზიტორი — ვ. ჩისტიაკოვი
სიმღერის ტექსტი — ი. რიაშენცევასი
ხმის ოპერატორი — ლ. ვალტერი

როლებს ასრულებენ:

ი. პერეველაზევი, ნ. ურგანტი, ს. სოკოლოვი, ს. დიკი, პ. მოროზენკო, ზ. კირიენკო, ნ. კორნეევა, ა. პანკოვი და სხვები

„ლენფილმის“ კინოსტუდიის ნაწარმოები
მეორე შემოქმედებითი გაერთიანება

ბალუევი იშვიათად ნახულობდა ცოლს, ოკიოდე დღეს წელიწადში.

წლების მანძილზე იგი მუშაობდა ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში და გაჰყავდა გასაოცარი მილები. და აი, ახლაც მორიგი მშენებლობა და კვლავ განშორება. ამ განშორების წუთებში ბალუევი და დუსია იგონებენ თავიანთ მოუსვენარ ცხოვრებას: მაგნიტკა, სადაც გაიცნეს და შეიყვარეს ერთმანეთი, ომის წლების მკაცრმა გამოცდამ მათი სიყვარული უფრო მტკიცე გახადა.

კვლავ განშორება. კვლავ მძიმე და საპასუხისმგებლო სამუშაოები.

ბალუევი თავისი საქმის დიდი სპეციალისტია. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა პირველი ხოთწლედის გრანდიოზულ მშენებლობებში, აქვს ცხოვრების დიდი გამოცდილება, მაგრამ ყოველი ახალი მშენებლობა ხომ საქმისადმი ახლებურ მიდგომას მოითხოვს!

მისი ძველი ნაცნობის, მშენებლობის მთავარი სამმართველოს თანამშრომლის ფოკინის სიტყვებით, ბალუევს ახალ მშენებლობაზე „დიდებული კოლორიტი“ და „სამოთხისებური ცხოვრება“ მოელოდა. პროექტის მიხედვით გაზსადენის ტრასა მდინარის ნაპირის, პლიაჟისა და წიწვიანი ტყის ახლოს უნდა გასულიყო. მაგრამ სამუშაო უბნის დათვალიერებისას ბალუევი დარწმუნდა, რომ პროექტის შეცვლა გაცილებით შეამცირებდა მშენებლობის ვადას. მან თავის ამხანაგებთან ერთად გადაწყვიტა შეცვალოს ძველი პროექტი და ტრასა ჭაობზე გაიყვანოს...

გაბედულმა პროექტმა შეაშფოთა ბიუროკრატი და უინიციატივო ფოკინი, რომელსაც ეგონა, ახალი პროექტი მას სამსახურებრივ უსიამოვნებას მიაყენებდა და დასვა საკითხი ბალუევის სამსახურიდან მოხსნის შესახებ.

შემდეგი ეკრანზე....

წმინდა ლუსიას მარგალიტი

სცენარის ავტორები: ლ. ალკორისა,
ხ. ვალასკესი
რეჟისორი — ლ. ალკორისა
ოპერატორი — რ. სოლანო
მხატვარი — ხ. ბრაჩო
კომპოზიტორი — ს. გერერო

როლებს ასრულებენ:

ხ. ალდამა, ნ. ანხელიკა, ა. სოლერი,
ა. ბლანჩი, ნ. მურაიმა

„მატოუკ. ხ. ა.“-ს ნაწარმოები
მექსიკა

ფილმი დუბლირებულია მ. გორკის სახელობის კინოსტუდიაში

დუბლიაჟის რეჟისორი — ა. ლიროვა
ხმის ოპერატორი — ა. იზბუცკი

ცარიელ საყდარში, საკურთხეველის წინ მდგომი ეუფემიო ლოცულობს...

მას და ჩაბელას მოულოდნელად უბედურება დაატყდათ თავს: ავად გახდა მათი შვილი ნიკო.

მკურნალობისათვის საჭიროა ფული. ეუფემიოს კი უკვე ნახევარი წელიც არ ქონია მუდმივი სამუშაო. სახლშიაც ალარაფერი გააჩნია გასაყიდი, რომ წმინდა ლუსიას მარგალიტს შესწიროს.

ეუფემიო ლოცულობს, დახმარებას თხოვს წმინდა ქალწულის სახეს, მაგრამ ამაოდ...